საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგია

2010-2012

თბილისი
2010

შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი საქართველოს კონტროლის პალატას განსაზღვრავს, როგორც აუდიტის უმაღლეს ორგანოს, და მას სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსებისა და დაწესებულებათა საქმიანობის აუდიტის უფლებამოსილებით აღჭურავს.

საქართველოს კონტროლის პალატა საქმიანობას წარმართავს ამ კანონის საფუძველზე, რომელიც მას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებას ავალდებულებს. იგი დამოუკიდებლად გეგმავს აუდიტორულ საქმიანობას და ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობა მოიცავს ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტს, რომელიც მიზნად ისახავს, პარლამენტი და ფართო საზოგადოება უზრუნველყოს სარწმუნო ინფორმაციით იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საქმიანობას ახორციელებს და საჯარო ფინანსებს მართავს კანონის შესაბამისად, მიზნობრივად, ეკონომიურად და ეფექტიანად.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგების ძირითადი სიკეთეა საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად შემუშავებული რეკომენდაციებით უკეთესი მმართველობის ხელშეწყობაა.

ეს სტრატეგია არის კორპორაციული მიზნების ამსახველი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების პრიორიტეტებს 2010-2012 წლებისათვის. სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია კონტროლის პალატის პოლიტიკა მის, როგორც სახელმწიფო აუდიტის დამოუკიდებელი ორგანოს, გასაძლიერებლად. იგი ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის სწრაფად ცვალებად გარემოს, რომელშიც კონტროლის პალატა საქმიანობს.

სტრატეგიის განხორციელების პროცესი ორგანიზაციის მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევითა და თანამონაწილეობით წარიმართება.

საქართველოს კონტროლის პალატა საჭიროებს ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას დასახული მიზნების მიღწევის მონიტორინგის განსახორციელებლად და შედეგების შესაფასებლად, რომლებიც მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასების ინდიკატორებს დაეფუძნება.

მისია

საქართველოს კონტროლის პალატის მისიაა, ხელი შეუწყოს უკეთეს მმართველობას სახელმწიფო მომსახურებისა და საჯარო ფინანსების მართვის სფეროში კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფით.

ხედვა

საქართველოს კონტროლის პალატა სარგებლობს მაღალი პროფესიული ნდობით, როგორც აუდიტის უმაღლესი ორგანო, რომელიც სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად ხარჯვაზე ზრუნავს.

ძირითადი ღირებულებები

საქართველოს კონტროლის პალატის ძირითადი ღირებულებებია:

- დამოუკიდებლობა;
- ობიექტურობა;
- საჯაროობა;
- პროფესიონალიზმი.

საქართველოს კონტროლის პალატა სტრატეგიის განხორციელებით მიზნად ისახავს, განავითაროს საჯარო სექტორის თანამედროვე, დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მოქალაქეთა ნდობით სარგებლობს.

ამ მიზნის მისაღწევად კონტროლის პალატა თავის შესაძლებლობებს განავითარებს სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით. ესენია:

1. პროფესიული განვითარება;
2. ორგანიზაციული განვითარება;
3. კორპორაციული რეპუტაცია და გარე კომუნიკაცია.

ძირითადი სტრატეგიული მიზნები, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად, რომლებიც საქმიანობებს აერთიანებს.

მიზანი 1. პროფესიული განვითარება

საქართველოს კონტროლის პალატის პროფესიული შესაძლებლობების განვითარება მოიცავს აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებას, მაღალკვალიფიციური აუდიტორების მომზადებას და საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, კონტროლის პალატის საექსპერტო უნარების განვითარებას, მართვის გაუმჯობესებას და ხარისხის კონტროლს.

პროფესიული განვითარება ორგანიზაციის პროდუქტიულად და ეფექტიანად ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს კონტროლის პალატამ განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1.1. აუდიტორული საქმიანობის აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვა (ISSAI);

1.2. ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვა (ISSAI 1000-2999);

1.3. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა (ISSAI 3000-3999);

1.4. ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა (ISSAI 40);

1.5. პროფესიული ზრდის სისტემის შექმნა;

1.6. ორგანიზაციის საექსპერტო უნარების განვითარება;

1.7. აუდიტის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, სანიმუშო პრაქტიკის გაზიარება და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფა.

ამოცანა 1.1. აუდიტორული საქმიანობის აუდიტის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვა (ISSAI)

საქართველოს კონტროლის პალატა საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო გაერთიანების წევრია. ამ გაერთიანების ფარგლებში თანდათანობით ვითარდება აუდიტის თანამედროვე სტანდარტები, რომლებიც აუდიტის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და სანიმუშო წესებია.

ამდენად, საჯარო ფინანსების მართვის თანამედროვე სისტემისათვის აუცილებელია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

1.1.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ISSAI 1 – ლიმის დეკლარაცია);

1.1.2. დამოუკიდებლობის სტანდარტის უზრუნველყოფა (ISSAI 10-11 – მეხიკოს დეკლარაცია აუდიტის უმაღლესი ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ);

1.1.3. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვა (ISSAI 20);

1.1.4. ეთიკის კოდექსის დანერგვა (ISSAI 30);

1.1.5. აუდიტის ფუნდამენტური პრინციპების დანერგვა (ISSAI 100-400).

ამოცანა 1.2. ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვა (ISSAI 1000-2999)

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვას უზრუნველყოფს ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგიასაც მოიცავს. ეს არის მუშაობისას აუდიტორის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის შექმნა და დანერგვა ხელს უწყობს აუდიტის პროცესის სტანდარტიზაციას, აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლებას და, შესაბამისად, აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვა, რომელიც ამ სახელმძღვანელოს საფუძველია, მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს კონტროლის პალატამ მომდევნო წლებში უნდა გადადგას:

1.2.1. აუდიტის რისკების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე დაგეგმვა;

1.2.2. შიდა კონტროლის სისტემის შეფასება;

1.2.3. IT აუდიტის პროცესების შემუშავება და დანერგვა;

1.2.4. რისკების იდენტიფიკაცია, მტკიცებულებების მოპოვება და აუდიტის სამუშაო დოკუმენტაციის წარმოება;

1.2.5. აუდიტის დასკვნისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ამოცანა 1.3. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა (ISSAI 3000-3999)

ეფექტიანობის აუდიტი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ინსტრუმენტია სახელმწიფო მმართველობის ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შესაფასებლად.

ეფექტიანობის აუდიტი ჩამოყალიბდა აუდიტის ცალკე სახეობად, რომელიც ორიენტირებულია არა მხოლოდ ფინანსურ ოპერაციებზე, არამედ სახელმწიფო საქმიანობის სრულ სპექტრზე და მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე ადმინისტრაციულ სისტემებს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2012 წლიდან საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი იქნება, ჩაატაროს ეფექტიანობის აუდიტი. მანამდე კონტროლის პალატამ ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა შექმნას.

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი ეტაპების სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა, პრაქტიკული პროცედურების შესრულება და აღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა.

შესაბამისად, ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავებისა და დანერგვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1.3.1. ეფექტიანობის აუდიტის დაგეგმვა და წინასწარი კვლევა – აუდიტის პრობლემის იდენტიფიკაცია, ჰიპოთეზებისა და აუდიტის კითხვების განსაზღვრა;

1.3.2. ეფექტიანობის აუდიტის ძირითადი კვლევის წარმართვა და მტკიცებულებების მოპოვება;

1.3.3. ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება;

1.3.4. ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს შემუშავება და დამტკიცება.

ამოცანა 1.4. ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა (ISSAI 40)

ხარისხის კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლებას, სანიმუშო პრაქტიკის განვითარებას და უკეთესი შედეგების მიღწევას.

ხარისხის კონტროლის სისტემის შესაქმნელად განსაზღვრულია შემდეგი საქმიანობები:

1.4.1. ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს შემუშავება; იგი განსაზღვრავს აუდიტის მიმდინარეობისას შესასრულებელი იმ პროცედურების ერთობლიობას, რომლებიც მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს;

1.4.2. ხარისხის კონტროლის სტრუქტურული ერთეულის შექმნა და შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტება;

1.4.3. ხარისხის კონტროლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა;

1.4.4. თვითშეფასების მექანიზმების შემუშავება და გარე შეფასების უზრუნველყოფა.

ამოცანა 1.5. პროფესიული ზრდის სისტემის შექმნა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია არა მხოლოდ აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგია, არამედ ასევე სათანადო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი აუდიტორები. თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კონტროლის პალატამ უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამა, რომელიც საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. ამ პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელია სწავლების მოქნილი და ეფექტიანი სისტემის დანერგვა.

დასახული მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1.5.1. სწავლების სისტემის შექმნა;

1.5.2. სახელმწიფო აუდიტორის სასწავლო პროგრამების შემუშავება;

1.5.3. კადრების ტრენინგი და პროფესიული სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო აუდიტორების მომზადება.

ამოცანა 1.6. ორგანიზაციის საექსპერტო უნარების განვითარება

აუდიტის უმაღლესი ორგანოს მანდატი, აუდიტთან ერთად, ითვალისწინებს საექსპერტო მომსახურების სპექტრს, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო და საბიუჯეტო პროცესებში აქტიურ მონაწილეობას, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მრავალმხრივ ანალიზს, სხვადასხვა ორგანოსთვის საექსპერტო მომსახურების გაწევას, სამართლებრივ საქმიანობას, კონსულტაციას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მონაცემთა დამუშავებას, დასკვნების გაცემას და სხვ.

ამდენად, აუდიტორული საქმიანობის პარალელურად, არსებითია ორგანიზაციის საექსპერტო-ანალიტიკური შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების განვითარება, რომლის საშუალებითაც საქართველოს კონტროლის პალატა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ანტიკორუფციული მიზნების მიღწევაში და ხელს უწყობს სახელმწიფოს წინაშე მდგარი სხვადასხვა ამოცანის ეფექტიანად შესრულებას.

საექსპერტო უნარების განვითარება მოიცავს:

1.6.1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მრავალმხრივი ანალიზის უნარის განვითარებას და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ კონტროლის პალატის დასკვნების ხარისხის ამაღლებას;

1.6.2. საკანონმდებლო აქტების პროექტებზე, საფინანსო-ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა საკითხებზე დასკვნებითა და მოხსენებებით პარლამენტის უზრუნველყოფას;

1.6.3. ანტიკორუფციული ამოცანების შესასრულებლად კვალიფიციური საექსპერტო დასკვნებით სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს უზრუნველყოფას.

ამოცანა 1.7. აუდიტის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, სანიმუშო პრაქტიკის გაზიარება და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფა

საქართველოს კონტროლის პალატის პროფესიული შესაძლებლობების მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული აუდიტის სფეროში თანამედროვე საერთაშორისო მიღწევებისა და ორგანიზაციული ღირებულებების გაზიარებაზე.

სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და ცოდნის გაზიარება უზრუნველყოფს, რომ საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის სახელმძღვანელო ეფუძნებოდეს თანამედროვე მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას. მისი განვითარების კვალდაკვალ, კონტროლის პალატამ მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა უნდა უზრუნველყოს.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

1.7.1. პროფესიული კონტაქტების განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI) მჭიდრო თანამშრომლობა, კონგრესის, ასამბლეის, კომიტეტების, ქვეკომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, სემინარებში, კონფერენციებსა და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა;

1.7.2. აუდიტის სხვა უმაღლეს ორგანოებთან სხვადასხვა დონეზე ორმხრივი ურთიერთობების დამყარება ცოდნის გაზიარების, გამოცდილების გაცნობისა და შესაძლებლობების განვითარების მიზნით, ერთობლივი, პარალელური ან/და საპილოტე აუდიტის ჩატარება;

1.7.3. სხვა საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, თანამედროვე ტენდენციებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა როგორც აუდიტის, ისე საჯარო ფინანსების მართვის სფეროში.

პროფესიული განვითარების მოსალოდნელი შედეგები

- ცვლილებებით განახლებული ნორმატიული აქტები, რომლებიც ISSAI-ს ასახავს ;
- დამტკიცებული ეთიკის კოდექსი;
- დამტკიცებული ფინანსური (მათ შორის, შესაბამისობის) აუდიტის სახელმძღვანელო;
- ფინანსური აუდიტის ანგარიში და დასკვნა;
- დამტკიცებული ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო;
- ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო;
- ხარისხის კონტროლის სტრუქტურული ერთეული;
- სახელმწიფო აუდიტორთა მოქმედი სწავლების სისტემა;
- სასწავლო პროგრამები;
- გადამზადებული სახელმწიფო აუდიტორები;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობა და სხვ.;
- საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში ჩართვა;
- ერთობლივი, პარალელური ან/და საპილოტე აუდიტი.

მიზანი 2. ორგანიზაციული განვითარება

პროფესიული და ტექნიკური უნარების დახვეწა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ არ კმარა ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს კონტროლის პალატის წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელია საქმიანობის ჯეროვნად დაგეგმვა, სწორი მენეჯმენტი, ცოდნისა და რესურსების ეფექტიანად მართვა, კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. კონტროლის პალატა ორგანიზაციული განვითარებით მიზნად ისახავს, იყოს სანიმუშო საჯარო დაწესებულება.

საქართველოს კონტროლის პალატის ორგანიზაციული განვითარება მოიცავს შემდეგი სტრატეგიული ამოცანების შესრულებას:

2.1. კორპორაციული სტრატეგია და დაგეგმვა;

2.2. თანამედროვე მენეჯმენტი;

2.3. ადამიანური რესურსების მართვა;

2.4. შიდა კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები;

2.5. ინფრასტრუქტურის განვითარება.

ამოცანა 2.1.კორპორაციული სტრატეგია და დაგეგმვა

განვითარების მიმართულებისა და სამოქმედო ნაბიჯების სწორად განსაზღვრა ორგანიზაციის მიერ სასურველი შედეგების მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. სტრატეგიული მიზნები ორგანიზაციის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს ემყარება და კონკრეტული სამოქმედო ღონისძიებებით მიიღწევა.

კორპორაციული სტრატეგია საჭიროებს მუდმივ განახლებასა და მონიტორინგს, რომლებმაც ორგანიზაციის მდგრადი განვითარება უნდა უზრუნველყოს.

სტრატეგიული მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის აუცილებელია მათი შესრულების მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და მიღებული გამოცდილების გამოყენება დაგეგმვის ყოველი მომდევნო ციკლის დროს.

საქართველოს კონტროლის პალატის ორგანიზაციული გეგმის შემუშავება მოიცავს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

2.1.1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მიზნების განსაზღვრა;

2.1.2. სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა, მათი შესრულების საზომი ინდიკატორების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი;

2.1.3. აუდიტის წლიური გეგმის შემუშავება და ორგანიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

2.1.4. საჭირო რესურსების განსაზღვრა და მონიტორინგი.

ამოცანა 2.2. თანამედროვე მენეჯმენტი

კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები ორგანიზაციის საქმიანობის სტილს აყალიბებს და არსებით გავლენას ახდენს მის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და კანონით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე მენეჯმენტის დანერგვა, რაც მოიცავს:

2.2.1. ყველა დონეზე მართვის გამჭვირვალე და პროფესიული სტილის დამკვიდრებას; ეს ორგანიზაციის პრიორიტეტებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებების სიცხადეს უზრუნველყოფს;

2.2.2. აუდიტის სხვა უმაღლესი ორგანოების მართვის მოწინავე გამოცდილების გაზიარებას, უმაღლესი მენეჯმენტის კვალიფიკაციის ასამაღლებელ და სხვადასხვა სასწავლო პროგრამებში მონაწილეობას;

2.2.3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას, დასახული მიზნების მისაღწევად რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდას;

2.2.4. მართვის ყველა დონეზე უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის განაწილების სისტემის სრულყოფას, შესრულებული სამუშაოსთვის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

ამოცანა 2.3. ადამიანური რესურსების მართვა

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დასახული მიზნების მიღწევის ხარისხი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადამიანურ რესურსებზე და მათ ეფექტიანად მართვაზე. ოპტიმალური რაოდენობის, კვალიფიციური საკადრო რესურსის განსაზღვრა, განვითარება და მისი მაღალი ხარისხის შენარჩუნება არის კონტროლის პალატის სტრატეგიული ამოცანა, რომელიც აერთიანებს შემდეგ საქმიანობებს:

2.3.1. ადამიანური რესურსების პოლიტიკის, მართვის პროცედურებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება;

2.3.2. ადამიანური რესურსების საჭიროების განსაზღვრა;

2.3.3. კონტროლის პალატის საჭირო პერსონალით უზრუნველყოფა;

2.3.4. კონტროლის პალატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების/ტრენინგის საჭიროების განსაზღვრა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების ორგანიზება;

2.3.5. კონტროლის პალატის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება;

2.3.6. კონტროლის პალატის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავება და დანერგვა.

ამოცანა 2.4. შიდა კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიები

შიდა კომუნიკაცია არსებითია ორგანიზაციის წარმატებით ფუნქციონირებისათვის. იგი ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების ორგანიზებულად, მიზანმიმართულად, თანამიმდევრულად და ჯეროვნად მართვისა და ფუნქციონირებისათვის.

დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა უზრუნველყოფა ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციით. კონტროლის პალატაში უნდა შეიქმნას კომუნიკაციის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მის თანამშრომელთა შორის ინფორმაციის რეგულარულად გაცვლას, განახლებას და ერთობლივი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებას.

ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის პალატის თანამშრომელთა მიერ ორგანიზაციისა და ერთმანეთის როლის სათანადოდ აღქმას, მათ სრულყოფილ ინფორმირებას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ და, რაც მთავარია, საერთო მიზნისაკენ სწრაფვის სულისკვეთებისა და ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიები არის ორგანიზაციის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საქმიანობის ყველა მიმართულებით გამოიყენება. ამ ტექნოლოგიებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე აუდიტის პროცესის ოპტიმიზაციისათვის და მართვის გაუმჯობესებისათვის.

ამდენად, შიდა კომუნიკაცია და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება მართვის ოპტიმიზაციის აუცილებელი პირობაა.

ზემოაღნიშნული მოიცავს შემდეგს:

2.4.1. შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება (კომუნიკაციის საერთო სტრატეგიის ფარგლებში);

2.4.2. შიდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ერთიანი სისტემის (ინტრანეტის) შექმნა;

2.4.3. IT სტრატეგიის შემუშავება;

2.4.4. მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის ოპტიმიზაცია.

ამოცანა 2.5. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარება მიზნად ისახავს საქართველოს კონტროლის პალატის ახალი იურიდიული მისამართების მიხედვით ორგანიზაციის ხარისხის ამაღლებას, მისი ოფისების თანაბრად განვითარებას და მათ შორის გამართული კომუნიკაციის უზრუნველყოფას.

ინფრასტრუქტურის განსავითარებლად გათვალისწინებულია შემდეგი მიმართულებები:

2.5.1. კონტროლის პალატის ოფისების მოდერნიზაცია და თანამედროვე სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;

2.5.2. ოფისების საჭირო ინვენტარით აღჭურვა;

2.5.3. ოფისების თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა და პროგრამული უზრუნველყოფა.

ორგანიზაციული განვითარების მოსალოდნელი შედეგები

- განახლებული სტრატეგია;
- აუდიტის წლიური გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია;
- კონტროლის პალატის ტრენინგის სტრატეგია;
- კონტროლის პალატის თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების დოკუმენტი;
- კონტროლის პალატაში დასაქმებული საჭირო პერსონალი;
- შიდა კომუნიკაციის სტრატეგია (შიდა და გარე კომუნიკაციების სტრატეგია);
- IT სტრატეგია;
- ინტრანეტი;
- პროცესის მართვის IT პროგრამული სისტემები;
- მოდერნიზებული და აღჭურვილი ოფისები.

მიზანი 3. კორპორაციული რეპუტაცია და გარე კომუნიკაცია

საქართველოს კონტროლის პალატის წარმატებული საქმიანობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ აღიქვამენ მას ფართო საზოგადოება და დაინტერესებული მხარეები.

ორგანიზაციის მიმართ დადებით საზოგადოებრივ ცნობიერებას აყალიბებს, ერთი მხრივ, მისი საქმიანობის წესი და, მეორე მხრივ, საზოგადოებისა და დაინტერესებული სუბიექტებისთვის ამ საქმიანობის შედეგების წარდგენა.

ეფექტიანი კომუნიკაციის გამოწვევების საუკეთესო საშუალებით დასაძლევად აუცილებელია, რომ კომუნიკაცია ხორციელდებოდეს შესაბამისი მოთხოვნების დაცვით, რომლებიც ასახულია კომუნიკაციის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში. კომუნიკაციის ინსტრუმენტების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს საქართველოს კონტროლის პალატის საჭიროებების შესაბამისი კომუნიკაციის მექანიზმები, მაგალითად, ვებგვერდი, შემაჯამებელი დასკვნა, პრესრელიზი და სხვ.

საქართველოს კონტროლის პალატის გარე კომუნიკაციის განვითარება მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

3.1. საზოგადოებასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობა, რაც კორპორაციული რეპუტაციის გაუმჯობესებას განაპირობებს;

3.2. პარლამენტთან ურთიერთობა;

3.3. აუდიტის ობიექტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება;

3.4. დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარება.

ამოცანა 3.1. კორპორაციული რეპუტაციის გაუმჯობესება

საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად საჭიროა, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ, როგორც აუდიტის უმაღლესმა ორგანომ, დაიმკვიდროს პოზიტიური იმიჯი ორგანიზაციისა, რომელიც საზოგადოების ინტერესებს იცავს და საჯარო ფინანსების უკეთ მართვას უწყობს ხელს. მაღალი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი საქმიანობების განხორციელება:

3.1.1. სანდო და ობიექტური ორგანოს რეპუტაციის განმტკიცება და შენარჩუნება; აუდიტის დასკვნები დროული, სარწმუნო და ყველა მომხმარებლისთვის ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს;

3.1.2. გარე კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს კონტროლის პალატის, როგორც აუდიტის უმაღლესი ორგანოს, როლის თაობაზე ფართო საზოგადოებისა და დაინტერესებული წრეების ცოდნის ამაღლებას და მისი სარგებლიანობის შესახებ ინფორმირებას;

3.1.3. გარე კომუნიკაციის გაუმჯობესება თანამედროვე, სასარგებლო და განახლებადი ოფიციალური ვებგვერდისა და სხვა საშუალებების გამოყენებით;

3.1.4. მედიასაშუალებებთან აქტიური თანამშრომლობა, მათთვის ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შესახებ დროული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;

3.1.5. არასამთავრობო და პროფესიულ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში არსებული საკითხების (მიღწევებისა და პრობლემების) განხილვის მიზნით.

ამოცანა 3.2. პარლამენტთან ურთიერთობა

საქართველოს პარლამენტი კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგების მთავარი მომხმარებელია. კონტროლის პალატის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი აუდიტორული საქმიანობის შედეგები აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველი უნდა იყოს.

საპარლამენტო კონტროლის ფუნქციის შესრულების ხელშესაწყობად აუცილებელია შემდეგი მიზნების მიღწევა:

3.2.1. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა დარგობრივ კომიტეტებთან თანამშრომლობისა და ქმედითი ურთიერთობის მექანიზმების შემუშავება;

3.2.2. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა დარგობრივი კომიტეტების ინფორმირება სახელმწიფო გარე აუდიტის აქტუალური პრობლემატიკისა და სხვა საზრუნავის შესახებ;

3.2.3. საქართველოს პარლამენტისთვის აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგების რეგულარულად წარდგენა, საბიუჯეტო და საკანონმდებლო პროცესებში აქტიური მონაწილეობა და საექსპერტო მომსახურების გაწევა.

ამოცანა 3.3. აუდიტის ობიექტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვა მიზნად ისახავს, აუდიტის ობიექტებმა გააცნობიერონ, რომ კონტროლის პალატა არის არა მხოლოდ მაკონტროლებელი, არამედ ასევე სასარგებლო პარტნიორი.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ამოცანების შესრულება:

3.3.1. აუდიტის ობიექტებისთვის კონტროლის პალატის ახალი მანდატის განმარტება და თვისებრივად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, როგორც გარე აუდიტორსა და აუდიტის ობიექტს შორის;

3.3.2. საჯარო ფინანსების მართვის გარემოს გასაუმჯობესებლად შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის დამკვიდრების ხელშეწყობა;

3.3.3. კონტროლის პალატის დასკვნებში დარღვევებისა და უზუსტობების მიზეზების ხაზგასმა და პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად რეკომენდაციების წარდგენა;

3.3.4. აუდიტის ობიექტის მართვის გასაუმჯობესებლად კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მექანიზმების დანერგვა;

3.3.5. კონტროლის პალატის ისეთ ორგანიზაციად აღიარება, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს საჯარო სექტორში სანიმუშო პრაქტიკის გავრცელებას.

ამოცანა 3.4. დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განვითარება

საქართველოს კონტროლის პალატა უნდა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო დონის, თანამედროვე აუდიტის ორგანოდ, რომელიც მუდმივად ზრუნავს შესაძლებლობების განვითარებაზე და სისტემატურად აწვდის დონორებს ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ.

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

3.4.1. დონორების მუდმივი ინფორმირება კონტროლის პალატაში მიმდინარე პროცესების, მისი განვითარებისა და იმ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ორგანიზაცია საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ახორციელებს;

3.4.2. კონტროლის პალატის საერთაშორისოდ აღიარებულ, თანამედროვე აუდიტის ორგანოდ და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების აუდიტის უმაღლესი ორგანოების ღირსეულ პარტნიორად ჩამოყალიბება.

გარე კომუნიკაციის განვითარების მოსალოდნელი შედეგები

- შიდა და გარე კომუნიკაციების სტრატეგია;
- განახლებადი ვებგვერდი;
- მედიამონიტორინგის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- არასამთავრობო და პროფესიულ სექტორებთან თანამშრომლობის პროექტები;
- საქართველოს პარლამენტსა და მის კომიტეტებში განხილული კონტროლის პალატის ანგარიშები, აუდიტის მასალები, მოხსენებები, საჯარო სექტორის მართვის გასაუმჯობესებლად წარდგენილი ინიციატივები და სხვა საექსპერტო დასკვნები;
- დონორებთან/პარტნიორ ორგანიზაციებთან გამართული შეხვედრები და კონფერენციები, ანგარიშები;
- პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების აუდიტის უმაღლეს ორგანოებთან.